№ 154. ივლისის 17, სამშაბათი. 1866—1884 ივლისის 17, სამშაბათი. № 154.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ქიქოძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—8 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 6 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სომხურ ენებზე.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ „დროებაზე“
ნახევარის წლით
ივლისის 1-დამ წლის დამლევამდე
ფასი ხუთი მანათი
სოფლის მასწავლებელთათვის
ოთხი მანათი.

უბაჟოდ არაყის გამოხდა

თბილისი, ივლისის 17-ს.

ამ წლის სექტემბრის 15-დამ ჩვენს სოფლის ხალხს ერთი დიდი შეღავათი მიეცემა. როგორც სჩანს გაზეთებში დაბეჭდილი ცნობებიდამ, სახელმწიფო რჩევას მოუწონია სხვათა-შორის გარდაწყვეტილება ჩვენის სამეურნეო საზოგადოებისა და შეცვლილს კანონში შესახებ სასმელების ხდისა, შეუტანია ის მუხლები, რომელნიც ამ საზოგადოებამ საჭიროდ დაინახა. სახელმწიფო რჩევისაგან შემუშავებული პროექტი უმაღლესად დამტკიცებულია და სექტემბრის 15-დამ ძალაში შევა.

მაშ სექტემბრის 15-დამ ჩვენს მთის ხალხს ცახცახს აღარ მოაყოლებს კარტუზიანი ქუდის დანახვაზედ, რადგან ნება ეძლევა ყოველ-გვარი მასალიდამ არაყის ხდისა და ჩვენს ვენახის პატრონებსაც ექნებათ უფლება, ღვინოებისათვის გადაყრის მაგივრად, თავიანთ ჭაჭა-თხლე და, თუ გამოიმეტებენ, ტკბილიც არაყად გამოხადონ.

ეს ამბავი დიდად სასიხარულოა, მაგრამ სიხარული იმითი ნელდება, რომ ყველანი მოველოდით ამ ცვლილებას იმდენად შეუფერებელი და აუტანელი იყო აქციზის წესები ჩვენის ქვეყნის პირობებისათვის. ყველამ ვიცოდით, რომ მთის ხალხი უარყოდ ვერ გასძლებდა, ვიცოდით, რომ დიდი ზავოდების გამართვა და პატენტების აღება არ შეეძლო და, მაშასადამე, თითონ კანონი აქეზებდა მას უკანონობა მოექმედებინა. აქციზის ჩინოვნიკიც მიდიოდა მასთან, ასრულებდა თავის მოვალეობას, უბეჭდავდა ქვაბებს, უდგენდა აქტებს და ზოგიერთს იმისთანას აწერდა სამოცსა და ასს თუმანს ჯარიმას, რომელსაც კატაც კი არსად მოეძევებოდა.

ერთი მცირე შენიშვნა ეჭირვება ამ ახალს კანონსდა, ჩვენის აზრით, კარგი იქნება ამ შენიშვნას მთავრობა ყურადღებას მიაქცევდეს. ვენახის პატრონებს ნება ეძლევათ დანიშნულ ვადაზედ ჰხადონ არაყი ჭაჭა-თხლისა, ტკბილისა და თუთისაგან, მაგრამ სხვა ხილი კი გამოტოვებულია. არ ვიცით, იქნება ეს მუხლი კანონისა ბუნდად იყოს შედგენილი და ყოველ გვარი ხილი განთავისუფლებული იყოს ბაჟისაგან, მაგრამ თუ ეს ასე არ არის, საჭიროა რომ ასე იყოს. ჩვენში ზოგან ხილს ამ ბოლოს დროს დიდი ფასი დაედო, მაგრამ ამისთანა ადგილებშიაც კი ბევრი ძირ-ნაყარი ხილია, რომელიც უბრალოდ ფუჭდება და იქ კი, სადაც რკინის გზა არ არის, ხეზე მოკრეფილს ხილსაც არად აგდებენ და მისგან არაყის ხდას ამჯობინებენ სხვა ფრივ მოხმარებასა. აი ამ ხილსაც ისე ეჭირვება განთავისუფლება ყოველ-გვარი ბაჟისაგან, როგორც განთავისუფლდა ჭაჭა-თხლე და ტკბილი, მაგრამ, სამწუხაროდ, კანონში ამაზედ არა არის-რა ნათქვამი. ღმერთმა ჰქნას ვცდებოდეთ და შემდეგ განმარტებულ იქმნას, რომ ამ მასალისაგანაც ნება-დართულია უბაჟოდ არყის ხდა, მით უფრო, რომ ყოველთვის ხომ ასე არ ვიქნებით და დროს განმავლობაში, იქნება, ვისწავლოთ იმ სასმელების კეთებაც, რომელნიც ეხლა უცხო-ქვეყნებიდამ მოგვაქვს და ძვირფასადა ვყიდულობთ.

როგორც უნდა იყოს, სიამოვნებით უნდა მივეგებოთ ახალს ცვლილებას აქციზის საქმეში, რადგან დარწმუნებული ვართ, ეს ცვლილება საკეთილოდ იმოქმედებს, როგორც ჩვენის ხალხის შეძლებაზე, ისე ზნეობის გაუმჯობესობაზე.

შინაური ქრონიკა.

═ „გუშინწინლამ, $1^1/_2$ საათზე მოვდიოდი არსენალის ქუჩაზე, — გვწერს ერთი ქალაქის მცხოვრებთაგანი, — და მოწმად შევიქენ იმისთანა გარემოებისა, რომელიც გააკვირვებს და გულს შეუწუხებს ყოველ გონიერს კაცს, მეტადრე ეხლა, როდესაც ხოლერის შიშის გამო ყველანი სისუფთავისათვის უნდა ზრუნვიდენ. იმას მოგახსენებთ, რომ მოხსენებულ ქუჩაზე მყრალ ლექნების ფეხის-ადგილებიდამ გამოჰქონდათ ვედროებით წყალნარევი უწმინდურებანი და აქცევდენ ქუჩის პირად, იმ ცარიელს ეზოში, რომელიც იმყოფება № 16 სახლის პირ-და-პირ!!. თუ ამისთანა საძაგლობას ჩადიან არსენალის ქუჩაზე, რომელიც მხოლოდ ოციოდე ნაბიჯით არის მოშორებული გოლოვინის პროსპექტს და ქალაქის შუაგულს რაღა უნდა ხდებოდეს სხვა ქუჩებზე? ყოველს შემთხვევაში, სხვა ქუჩებშიც რომ არაფერს ჩადიოდენ ამისთანას, ჩვენგან მოხსენებული ნამდვილი გარემოება ისე საყურადღებოა, რომ აუცილებლად და ეხლავე საჭიროა ღონის-ძიება მიიღოს საქალაქო პოლიციამ ამ უმსგავსოების მოსასპობლად.

═ აფხაზეთიდამ გვატყობინებენ, რომ იქ წელს სალიანობაა და ისეთი სიცხეები არა სდგას, როგორიც შარშან ამ დროს იდგაო. ციებ-ცხელება ჯერ-ჯერობით არსადა სჩანს და შემდეგაც, იქნება, ღმერთმა დაგვიფაროსო. სიმინდის, ყურძნის და ბალახის მოსავალი წელს მშვენიერია აფხაზეთში და ხილიც უხვად მოგვივიდაო.

ქ. სუხუმში ამას წინად ბანაობდა ზღვაში ერთი ქუთაისიდამ მოსული გიმნაზიის მე-VI კლასის შეგირდი და დაიღრჩო. საცოდავი ნათლიასთან იყო აქ და ხარკოვიდამ ელოდა უნივერსიტეტში კურს-დასრულებულს თავის ძმას.

ქურდობა და ავაზაკობა სრულიად მოისპო აფხაზეთში. ერთი აბაზი რა არის, ისიც არავის არ ეკარგება. სჩანს აფხაზსაც შესძლებია, — გვწერს კორესპონდენტი, მშვიდობიანი და შრომის-მოყვარეობით სავსე ცხოვრება.

═ გორიდამ გვწერენ: «შენი მტერი თუ მართალია ძოხის აზრი, რომ ჭის წყლის სმა ხოლერობის დროს მავნებელიაო. თითქმის ნახევარი გორი ჭის წყლით გამოდის. მსრეძ-წოდებულ ქართველების «სობოროს» ჭისა და

«დროების» ფელეტონი ივლისის 17.

„სოფლის მასწავლებლის მოგონებანი“.

(სურათი სოფლის ცხოვრებიდამ)

(დასასრული *)

V

მართლაცა და კვირას ჩვენმა სკოლის არე-მარემ სადღესასწაულო სახე მიიღო. სკოლის ეზო ხალხით გაივსო... ბავშვების ხმაურობა, სიცილი, ქლავილ-ქლუვილი ჩემს აღელვებულს გულს ბანს აძლევენ. ყველანი სკოლის დიდ დარბაზში შევიყვანე... ხალხის ჭედვაა. ფანჯრები და კარებები ჩამობნელებულია მაყურებლებით... სიჩუმე სუფევს... რაღასაც მოელიან. ყმაწვილმა მემამულემ ისარგებლა სიჩუმით და მშვენიერის მჭევრ-მეტყველურის და მკაფიო ენით აღელვებულმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც თვალ-საჩინოდ აუხსნა ხალხს სკოლის მნიშვნელობა საზოგადოდ ყველასათვის და კერძოდ გლეხებისათვის. ბოლოს ამ გვარად დააბოლოვა თავისი სიტყვა: «ეხლა თქვენს წინაშე სდგას ახალ-გაზდა კაცი... გარწმუნებთ, ამას არაფერი ცუდი განზრახვა არა აქვს თქვენს შესახებ... მისდიეთ ამას და ნათელს იპოვნით, ყური დაუგდეთ ამას და ინუგეშებთ — ჭირსა და ლხინში მოძღვარს და თანამოზიარეს იპოვნით... ეს თქვენ არასოდეს არ მოგატყუებთ — ვერ შესძლებს ამისი კეთილი ქართველური ბუნება ამ ბიწიერების ჩადენას». მე ამ სიტყვებზე ჟრუანტელმა გამირბინა. მღელვარება დამეტყო. სიჩუმე რომ ჩამოვარდა, აღელვებული ხმით წარმოვსთქვი მეც სიტყვა სკოლის საჭიროებაზე მათი კეთილ-დღეობისათვის.... ბავშვების სწავლება დავიწყე სიტყვის შემდეგ. მაყურებლები მადლიერის თვალით შემომცქეროდენ და უხაროდათ, რომ მათს ბავშვებს ამ მოკლე ხანშივე წარმატება ეტყობოდათ.

— არ უყურებთ ამ ბეროზაანთ ვანოს, რა მალე ჩახვედრილა და? ვინ მოიგონებდა — თუ ე «წიპრანა» ბიჭი ასე მალე წიგნს გაიბეჯითებდა. ისმოდა «კანტი-კუნტად» ამ გვარი ხმები მაყურებლებში.

— ცოტა ხანს უკან ბავშვები გარედ გავრეკე... სკოლაში დიდები-ღა დავრჩით.

— ჩვენ განა არა — დაიწყო ტკბილით ერთმა გლეხთაგანმა, — არც ისე ძალიან ვიყავით სკოლის წინააღმდეგნი, მაგრამ «იმან» გადაგვრია. ისეთი რაღაებიც გვითხრა სკოლაზე, რომ თვით ანგელოზსაც აუმღვრევდა გულს.

— ხომ გითხარით, რომ «იმას» ყურს ნუ უგდებთ-მეთქი... არა გაქვთ, არა შეგნება... და თქვენი უხეირობით რასაც თქვენ თავს თქვენ თითონვე უზამთ, ისე მტერი არას გაკლებთ, — ნიშნ-მოგებით ამბობდა და თან ცხარობდა, რაც შეეძლო მეორე გლეხი.

მე საშინელი მღელვარება შემეტყო და (მემამულე) ხომ სულ მთლად აენთო.

— თქვენ უთხარით: „იმას“ — ხმა ჩაიწყვიტოს, თორემ ინანებს. — იმ დღესვე სკოლისთვის მზრუნველობის არჩევანს შევუდექით... ერთხმად მზრუნველობა მემამულეს და რამდენსამე გლეხებს შევჰხვდათ... მე ის დღე ნეტარებით გავატარე... ხელ ახლად გამიცხოველდენ იმედები... მემამულეც აღარა მშორდებოდა და ყოველ ღონის-ძიებას ხმარობდა საქმის რიგიანად მოგვარებისათვის.

VI

მას შემდეგ ბევრი კოკა წყალი დაიცალა... ხალხს ჩვეულებად გადაექცა ჩემთან სიარული... კვირა-უქმით «საკვირაო» სკოლაც დავაწესე.

*) იხილე „დროება“ № 153.

სომხების სამების ეკლესიის ჭის გარდა, დიდი მუშტარი ჰყავს პავლიანთ უბანში ცერცვაძიანთ ჭას, რომელშიაც ათასი უმსგავსოება და სიბინძურე სცვივა,—ასე გასინჯეთ, შიგ თაგვებიც კი ილრჩობიან; ხოლო ჭის გარშემო მუდამ შავი, ჭუჭყიანი ჭოჭი დგას, ჰყარს თავადაც და გარეშემოსაც აყროლებს. აუცილებლად საჭიროა, ჩვენის აზრით, რომ დაუყოვნებლივ მიაქციოს ადგილობრივმა პოლიციამ ამ გარემოებას ყურადღება და მოსპოს ეს უმგზავსო ჩვეულება იქ მაინც, საცა მთელს ქართლში თავის გემრიელი წყლით გათქმულნი მდინარენი ჩამოდიან. რა უმგზავსობაა, მართლაც, ქალაქს ერთის მხრით მდ. ლიახვი ჩამოუდიოდეს, მეორე მხრით მტკვარი, მესამე მხრითაც მდინარე და ჭის წყალს კი ხმარობდენ მაინც. წყლის წყურვილით შეწუხებული ტანტალი რომ ყელამდე წყალში იჯდა და საკანონო ჭონდა დადებული, წყალი არ დაელია, სწორედ ისევ ბორელების საქმეც. აფერუმ, ქალაქო და ქალაქის თვით-მმართველობავ! ასე არა სჯობიან!..,

═ ჩვენ შევიტყეთ ნამდვილის წყაროდამ, რომ ანგრონომს ბ. ბეევსკის ფილოქსერა აღმოუჩენია თვით თბილისში, „ლონდონის“ სასტუმროს ბაღში, რომელიც ეკუთვნის ბ. ა. ზუბალიშვილს. ამ საყურადღებო და სამწუხარო გარემოებაზე შემდეგ მოველაპარაკებით ჩვენს მკითხველებს უფრო ვრცლად.

═ გაზ. «მწყემსს» შეუტყვია, რომ იბეჭდება და მალე გამოვა ერთი პატარა წიგნი—„საქართველო ანდრია მოციქულის დროს“.

═ „მწყემსივე“ ამბობს, რომ ზაქარია ბიჭინაძეს მოუპოვებია ანტონ კათალიკოზისაგან დაწერილი ვრცელი ხელთ-ნაწერი გრამატიკა. დაწერილია შესანიშნავი მ შვენიერის ხელით, სუფთად დაცულია წიგნი და ყოველივე კარგად სჩანს ზედ. გამოცემა მის ყოველად-უსამღვდელოესს ალექსანდრე ეპისკოპოზისათვის გარდუცია. რედაქციას ბ. ნ. მთვარელიშვილი კისრულობსო.

═ გაზ. «მწყემსში» დაბეჭდილია მცირე შენიშვნა ქართულის გალობის შესახებ. საქმე ის გახლავთ, რომ ჟუთაისში არის ერთი კარგი მკოდნე ქართულის გალობისა და ევროპიულის მუსიკისა ბ-ნი მრეველოვი. ამ მრეველოვს ჰქონია მთელი წირვის წესი გადაღებული ნოტებზე ორმოცი წლის წინად, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზებისაგამო ნათელი დღისა არ ჰღირსებია. დღეს იგინი დამწერს გადუსინჯავს ხელ-მეორედ, მეუმეშაევია და ამ თვის რვას, შორაპნის ნათლის მცემლის ეკლესიაში უგალობნია თავის ოთხ ასულსა და ბ. კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელ ქრ. ბროზდოვთან ერთად. ნოტებზე გადაღებული გალობა მღვ. ქარბელოვის კილოაო.

უცხოეთი.

ეგვიპტე. ამ დღეებში ლონდონში მოსულა ზემო-ეგვიპტედგან ერთი ვილაც ალოდ ვიცენტი, ძმა ეგვიპტის მმართებლობის საჭინანსო მრჩეველისა. ალოდ ვიცენტს მთლად დაუვლია ეგვიტის სამხრეთის პროვინციები და დაწერილებით შეუსწავლია ამ მხარის ვითარება და აწინდელი მდგომარეობა. ამისათვის ყოველივე იმის ნაამბობი ეგვიპტის საქმეთა შესახებ იქამდინ საინტერესოა, რომ არ შეგვიძლიან არ განკუზიარეთ ჩვენს მკითხველებს.

«ეგვიპტის მდგომარეობა, — უთქვამს ალოდ ვიცენტს, — უფრო საშიშია, ვიდრე ჰგონიათ. მაჰდის, ალთქმისა და მაჰმადიანთა ჩვეულებისამებრ, მთელი ერი თვის განმავლობაში რამაზანის დღესასწაულის დაწყებამდინ არც ერთხელ არა ჰქონია ომი, მაგრამ ეხლა კი ყოველს წამს უნდა ველოდეთ საშინელს, საზარელს ბრძოლას». ამისგამო ვიცენტს ძრიელ აკვირვებს ის გულ-გრილობა, რა გულ-გრილობითაც უყურებენ ლონდონში აჯანყებულების მოძრაობას. — „თქვენ სრულებით არ შეგიძლიანთო განუგრძვია ვიცენტს, — წარმოიდგინოთ ის სიმძულვარე, რა სიმძულვარითაც გვიყურებს ჩვენ მთელი ეგვიპტე კიდით კიდემდე. ჩვენ ვძულვართ, პირველად იმიტომ, რომ ქრისტიანები ვართ, მეორედ იმიტომ, რომ უცხოელნი ვართ და მესამედაც იმისათვის, რომ ორი წელიწადია ჩვენ აქა ვართ და ამ დროს განმავლობაში ენების მეტი არაერთარი სარგებლობა არ მოგვიტანია არც ამ ქვეყნისთვის და არც ჩვენი თავისთვის. ნუბარ-ფაშიდამ დაწყებული უკანასკნელ გლახაკამდინ ყველა ჩვენი მტერია ეგვიპტეში.“ შემდეგ ვიცენტს უამბნია, რომ ნუბარ-ფაშის გაზეთი ჰკიცხავს ინგლისელებს განუწყვეტლივ, არაბულს ორგანებს გადააქვთ თავიანთ ფურცლებზე ეს საკიცხავი წერილები, ძრიელ ბევრი იყიდება და ყველა გაფაციცებით კითხულობს მათ. ვიცენტის სიტყვით, ქაირში და ალექსანდრიაში არ არის არც ერთი მეჩეთი, სადაც არ უქადაგებდენ და არ იწევედენ „მართლმორწმუნეთა“ შურის-საძიებლად და აღმოსახოცად «ურწმუნოთა». მთელი ეს ქვეყანა ნატრობს მაჰდის მალე მოსელას...

ბერბერი რომ ნამდვილად დაცემულა, ამაზედაც ეჭვი არა აქვს ვიცენტს; ამას თვითონ უნახავს თვალით მნახველი, რომელსაც ეს სამწუხარო ამბავი მოუტანია. — „ბერბერის დაცემის შემდეგ, — ამბობს ვიცენტი, — ბორდონის გადარჩენა წარმოდგენიც აღარ არის: თუმცა არც ეგვიპტეში და არც ინგლისში ამაზედ არას ამბობენ, — მაგრამ კარგად კი გრძნობენ, რომ ეს ასე უნდა იყოს. ვიდრემდის ხართუმის გზა თავისუფალი იყო, ინგლისელები აგვიანებდენ ბორდონის დახსნას, ეხლა კი რკინის გზა უნდა გააკეთონ ამისათვის, როგორც პოლკოვნიკი უანსონი ურჩევდა, მაგრამ რკინის გზის გაკეთებას, სულ ცოტა, ერთი წელიწადი მაინც მოუნდება და ეხლა კი ყოველი წამი საშური და ძვირფასია.“

დონგოლის მდგომარეობაც უიმედოდ მიაჩნია ალოდ ვიცენტს. მის გუბერნატორს—ჩინებულს ვაჟკაცს—შეეძლო დაეცვა ქალაქი ინგლისელების შემწეობით, მაგრამ ამ უკანასკნელთ ღვთის ანაბარად დასტოვეს იგი, და ეხლა მეტი გზა აღარა აქვს თავის ნებით უნდა დამორჩილდეს მაჰდისაო. მაშინ ცრუ-წინასწარმეტყველის ჯარი თავისუფლად მოადგება ზემო-ეგვიპტის სამხღვარსა და საშინელი მიშის ხარი შეიპყრობს ყველას გულს სამხღვრიდამ მოკიდებული ქაირამდინ. ვუდის ჯარი ჩინებულად იქცევა, ჯერ არა ყოფილა შემთხვევა, რომ ამ ჯარიდგან გაქცეულიყოს ვინმე, ან სამხედრო რაიმე წესი (დისციპლინა) დაერღვიოს, მაგრამ წამოვა თუ არა მაჰდი ჩრდილოეთისკენ, ვუდის ჯარი მაშინათვე გაიქცევა ისე, როგორც გარბიან კურდღლები წინაშე ძაღლებისა. ეგვიპტის სალდათებს სხვაფრივ მოქცევა არ შეუძლიანთ პირველად იმიტომ, რომ მაჰდის თავის ჯარში 35,000 კაცი ჰყავს და თვითო ეგვიპტეს სალდათზე 20 კაცი მოდის, და მეორედ იმიტომ, რომ იმათ კარგად იციან, რა საშინელი განსაცდელიც მიუყენებიათ აჯანყებულებს მათის ამხანაგებისთვის, რომელნიც კი ტყვედ წაუყვანიათ მათ! ამ სახით ევროპიელთ მოუხდება პირის-პირ შეყრა მაჰდისთან და ფანატიკოს მცხოვრებ-

---

ტალიკ-ტალიკი ბიჭები დადიან სკოლაში და თავიანთი მახვილი ენით და მუყაითობით ყველა აღტაცებაში მოჰყავთ... ბლეხებს წიგნის კითხვის მოსმენაც შეუყვარდათ. ხან ში-შესულ გლეხებს «ლუარსაბის და დარეჯანის» ქალალდის წაკითხვა ძაან მოსწონთ, ბებრებს ბურამიშვილის ლექსები უფრო მოსწონთ და ეს «თავ-აღებული» კუდიანი გლეხის მოზდილი ბიჭები ილაჯს მიწყვეტენ «ძაკო და მხედარი» ან „ნესტან-დარეჯანის“ (შეეზვის-ტყაოსანს დაარქვეს) წიგნი წაგვიკითხეო. აბა, მოდი და ნუ აუსრულებ ამათ სურვილს... ბაგებუტებიან კიდეც... ალარ მოგეკარებიან. ერთხელ რამდენსიმე გლეხს „დედა და შვილი“ წავუკითხე და ისე მოეწონათ, რომ მთხოვეს კვირას სუყველას ერთად წაგვიკითხეო... თხოვნა ადვილი აღსასრულებელი იყო და ავუსრულე კიდეც. ძვირას ძალიან ბევრი ხალხი შეიკრიბა. მეტადრე ქალებით გაიმსო დარბაზი. ჩემი ძვირფასი მემამულეც მობძანდა ცოლშვილით... ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლებიც აქ იყვნენ... სუყველა სმენად იყო გადაქცეული. დავიწყე კითხვა. წავიკითხე ერთი ფურცელი... ხალხს ჭრუანტელმა გაურბინა, მოჰყვა მეორე, მესამეც და ღედა-კაცებმა მოაყოლეს ტირილი და შემდეგ კაცებმაც ბანი მისცეს. დარბაზი სამგლოვიარო ადგილად გადაიქცა. მთხოვეს კიდევ რამ წამეკითხა... ვაპირებდი კიდეც აკაკისა და რაფიელის წვრილმან ლექსების წაკითხვას, რომ ერთ გარემოებას ხელი არ შეეშალა. სკოლაში ერთი მოხელეთაგანი მოვიდა და მე მიკითხა. მე გავიხედე გარედ და მოხელეს პირველი კითხვა ეს იყო—აქ ხალხს რა უნდაო? ხალხმა მიუგო: ამისთანა ადგილს სად მოვძებნით სალაპარაკოდ, მაშ სადღა წავიდეთო... ხალხი ნელ-ნელა დაიშალა. სკოლაში დავრჩით: მე, მოხელე, მემამულე, მღვდელი და ადგილობრივი პოლიცია. მოხელემ ამოიღო ქალალდი და მითხრა—მე აქ გამოსაძიებლად გამომგზავნეს, თქვენი საქმე უნდა გამოვიძიო. 1) თქვენ გაბრალებენ, ვითომ აგილობრივ მოხელეებს «უბუნტებდეთ» ხალხს; 2) რომ ვითომ თქვენი მიზეზით სუდია-ბამასახლისს არაფრად აგდებენ, და 3) თქვენივე მიზეზით სოფლის მწერალი ჯამაგირს ვერ იღებს. ამეების გამგონს სიბრაზით კანკალი ამიტყდა, ჭირის-ოფლმა დამასხა და ველარა მოვიფიქერა პასუხად. მემამულემ შემატყო აღელვება და თავად მისცა ჩემ მაგივრად პასუხი: «თუმცა ამ ყმაწვილის ვექილი არ გახლავარ, — უპასუხა მან, — და ეს არც საჭიროებს ჩემ ვექილობას, მაგრამ სიმართლით გეტყვით, რომ ამისთანა რიგიანი კაცი ჩვენს მხარეს არ ჰღირსებია... იკითხეთ ამის ამბავი ამ არე-მარეზე და ყველა გეტყვით: მღვდელიც, თავადიც, გლეხიც ამის პატიოსნებას; რომ ამ «დანოსების» უსაფუძვლობაში დარწმუნდეთ, აი აქვეა ხალხი თავ-მოყრილი და იკითხეთ ყველაფერი ამ კაცზე“.

ხალხი მოგროვდა მოხელეს დაძახებაზე.

— როგორ კაცად იცნობთ თქვენ, ამ „უჩიტელს“? — იკითხა მოხელემ...

— ქრისტიან კაცად, პატიოსან კაცად, — წაიყაყანა ხალხმა. მსა დხ ეს საჩივარია თქვენს უჩიტელზე და ამაზე რას იტყვით. ხალხს განცვიფრება და თან აღელვება დაეტყო... სუყველამ ერთმანეთს შეხედეს და მერე «ენატანიებს» გადაავლეს მრისხანე თვალი. სოფლის ამორჩეულმა კაცმა, ნინიკამ, დაიწყო ლაპარაკი: „მე კარგად ვიცი მწერალს რისთვისაც უკვდება თავი. რაც ჩვენი «უჩიტელი» მოსულა, ჩვენ მწერალთან აღარ მივსულვართ ქალალდის დასაწერად; ღმერთმა აღღეგრძელოს, ეს დაგვიწერს ხოლმე მუქთად ქალალდს და დარიგებასაც გვაძლევს. აბა ამის შემდეგ რალად გვინდა მწერალი? ან ჯამაგირი რაში უნდა ვაძლიოთ. «უჩიტელმა» რომ არ დაგვარიგოს—განა ჩვენ კი არა ვართ მიხვედრილები? აქ «უჩიტელი» რა შუაშია... უჩიტელის მოსვლით მამასახლისსაც დაეკლდა „ბეჭდის“ ფული*). ეს ქრისტიანი კაცი აქვე მო-

*) მამასახლისი რომ შეუმოწმებს რასმე გლეხს—30 კაპ. ან 40 კაპ. იღებს და ამას „ბეჭდის“ ფულს ეძახიან სოფლელები.

ბლებთან, რომელთაც სძულთ იგინი რელიგიურ და პოლიტიკურ მიზეზთა გამო. — „თუ ამას საშიშ მდგომარეობა არ ეთქმის, — უთქვამს ლორდ ვიცენტს, — მაშ მე სრულიად აღარა მცოდნია რა.“

მაჰდის დიდ-ძალი ჯარი ჰყავს და ეგვიპტეს რაღა ძალა აქვს რომ გაუძლოს ამ ბარბაროსთა საშინელს თავ-დასხმას? ვადი-ჰალფში უყენია სულ 500 ეგვიპტელი სალდათი და ეს არის მთლად მისი ძალა. ქალაქში თითქმის არც ერთი მაგარი ციხე არ არის. კოროსკოში ჰყავთ კიდევ 500 სალდათი, მაგრამ სიმაგრეები კი არც იქ არის; ამასთანავე ვადი-ჰალფის გარნიზონი ამოიმუსრება თუ არა, კოროსკოც დაიღუპება და ის დღე დაადგება, რაც ბერბერსა, სინკათსა და სხვა ქალაქებსაო. ამას გარდა, მეწამული (წითელი) ზღვის გაყოლებივ უყენიათ კორდონზე 1,500 ბედუინი; იმედია, რომ ბედუინები თავის დროზე შეატყობინებენ იქაურს მთავრობას, როდესაც აჯანყებულები შემოესევიან ამ მხარეს, მაგრამ იმისი იმედი კი არავის უნდა ჰქონდეს, რომ იმათ მაჰდის ლაშქარს წინააღმდეგობა გაუწიონ. ყველაზე უკეთესი ადგილი მტრის შესამაგრებლად ასსუანია. აქ სდგას 2,000 ეგვიპტელი სალდათი, 500 ინგლისელი, უფროსად პოლკოვნიკი დუნკანი ჰყავთ და ამასთანავე რვა კრუპის ზარბაზანიცა აქვთ. ამ ქალაქს ისეთი მდებარეობა და სიმაგრეებიცა აქვს, რომ ჩინებულად შეეძლო გამაგრებოდა მტერსა, მაგრამ საქმე ის არის, რომ იქ არც სურსათი აქვთ დამზადებული, არც წყალი აქვთ ქალაქში გაყვანილი და, რასაკვირველია, ამისთანა პირობებით გარემოცულს ქალაქს არ შეუძლიან დიდხანს გამაგრება ამისთანა მრისხანე მტრისა, როგორიც არის მაჰდის ლაშქარიო.

ლორდ ვიცენტს შემდეგი სიტყვებით დაუბოლოვებია თავის საუბარი: «თქვენ იქნება გგონიათ, რომ მაჰდი შეჩერდეს სადმე და ზემო ეგვიპტეში არ შემოვიდეს! თუ მართლა ასე ფიქრობთ, მაშინ თქვენ არა გცოდნიათ, რას ნიშნავს არაბთა შორის წინასწარმეტყველი, რომელიც დაუბრკოლებლივ მიდის წინ, ვიდრემდის არ შეეტაკება უძლეველს ჯარს ანუ რაიმე ბუნებრივს დაბრკოლებას. მაჰდიმ აღუთქვა ფელახებს გარდასახადთა ტვირთის ჩამოხდა და ამის გამო ეხლა თვითონ იმას იძულებულს ჰყოფენ წინ წავიდეს. იმან აღუთქვა სალოცავად წასვლა ქაირიდამ მექქაში და თქვენ რად ფიქრობთ, რომ ფანატიკოსმა არ აღასრულოს თავისი აღთქმა?»

ხოლერა ევროპაში.

«ნოვოე ვრემიაში» დაბეჭდილია წერილი დოქტორის მაკისა ხოლერაზე. მაკი ისეთი ცნობილი ექიმია, რომ მის შეხედულობას ამ საგანზე არა მცირედი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

მაკის აზრით, ტყუილია ვითომ ხოლერა მაშინ დაიწყებს მძვინვარებას, როცა იგი შემოიტანეს სადმეო. იმის გამოკვლევით, ხოლერა რომელსამე ალაგას დაბუდების შემდეგ, კარგა დიდის ხანის განმავლობაში ვერ გამოიჩენს თავის მომაკვდინებელს ძალას; ხოლო შემდეგ, მეორედ და მესამედ რომ შემოიტანენ კიდევ, მაშინ დაიწყებს მძვინვარებას. ამ დრომდე გაივლის რამდენიმე კვირა და ხან-და-ხან თვეც და ხოლერა მხოლოდ ოდნავ ხდის ხალხს ავად და ეს ავადმყოფობა სრულიად უვნებლად ჩაივლის ხოლმე. ამის შემდეგ კი გადამდების სენის ხასიათს იღებს და ჰმუსრავს ხალხს მრავლად. ხოლერის გავრცელება მაშინ კი არ იწყობა, როცა მან გადამდები სენის ხასიათი მიიღო, არამედ ბევრით ადრე. იმ დროს, როცა საყოველთაო ყურადღება რამდენსამე ალაგზეა მიქცეული, სადაც იგი საშინელს ძალას იჩენს, უკვე ბევრგან არის იგი მოდებული და მხოლოდ დროს უცდის, რომ თავი იჩინოს.

მაისის 14 მაკს უწინასწარმეტყველნია თავის ოფიციალურს მოხსენებაში და უთქვამს, რომ ხოლერა ხმელთა-შუა-ზღვის პორტებში შემოვა იმ გემებიდამ, რომელნიც ეგვიპტიდამ მოვლენო, ასე მარტის დამლევს და აპრილშიო. მაისის 8-ს მიუწერია თავის ნაცნობთათვის მარსელში, რომ მარსელელებს ხოლერა არ აგცდებათო; დარიგება მიუწერია, აგრეთვე უთხოვნია, რომ ყოველ-გვარი უსუფთაობა და უწმინდურობა მოსპეთ, სვით ადუღებული ან მინერალური წყალი და თუ ასე მოიქცევით, მაშინ თქვენს სახლებს ხოლერა აღარ მოეკარება, თუნდაც გაჩნდეს მარსელშიო.

მარსელში და ტულონში ძალიან შიში გავრცელდა თურმე ხოლერისაგან. ზოგიერთები თავებს იხოცავენ, ოდნავ რომ ავად გახდენ რითიმე, ჰგონიათ რომ ხოლერით გავხდით ავადაო. ამას წინად ერთს გულადს მეომარს რევოლვერით მოუკლავს თავი ხოლერის შიშით. პარიჟში დაარსებულა პატარა გაზეთი, რომელიც მხოლოდ იმასა ბეჭდავს, რაც დაამშვიდებს ხალხს და შიშს შეასუსტებს, მეორე პატარა გაზეთი, დაარსებული პარიჟშივე ამ აზრით, მარტო სასაცილო ამბებსა და თავ-გასართობს ანეკდოტებს ჰბეჭდავს ხოლერაზე და ამით ასუსტებს შთაბეჭდილებას საშიშარის სენისას.

დოქტორი კოხი დასწრებია ერთს დიდს კონფერენციაზე, სადაც შეკრებილნი ყოფილან [illegible] ექიმები და სტუდენტები. სტოლზე დაუწყვიათ კოხისაგან ინდოეთიდამ და ტულონიდამ მოტანილი მიკრობები. კოხს, სხვათა შორის, უთქვამს, რომ ხოლერის მიკრობები სისხლში არას დროს არ მინახავს, ბევრად განირჩევიან სახადის მიკრობებისაგან და გარეგანის სახით „მძიმეს“ ანუ „ზაპიატაიას“ წააგვანანო. კოხს ჰკითხეს, რასა ხმარობ ხოლერის წინააღმდეგაო და იმას უპასუხნია, რომ ხელებს ვან-სვიტენის წყლით ვიბან და ჰამით მოხარშულ საჭმელსა ვჭამ მხოლოდ და ვსვამ ადუღებულს წყალსაო.

დოქტორს სამმიუქს უთქვამს, რომ სირიაში, მდ. აზის ნაპირებზე, გაჩნდა ხოლერა, 300 და 400 კაცს ჰხოცავდა დღეში, მაგრამ გავრცელებით კი არ გავრცელდაო. კოხი კი ამ აზრისაა, რომ თავის თავად ხოლერა არა ჩნდება, იგი ამ გზით თუ იმ გზით ინდოეთიდამ შემოდის ევროპაშიო. კოხის აზრით ავადმყოფები განმარტოებულ უნდა იქმნან, ფაღარათობა უნდა შეუწყვიტოთ, როგორც კი დაემართებათ ავად-მყოფობა ხაზხაზის შემწეობითაო...

დოქტორს შტრაუსსა და რუს უთქვამთ აგრეთვე, რომ პასტიორიც მაგ აზრისაა. ამას გარდა დაუმატებიათ, რომ სახლები უნდა დაიკეტონ და ზედ ფიცარი მიეკრათ წარწერით: «აქ მოკვდა ხოლერით ავადმყოფიო».

ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

ივლისის 15

პეტერბურგი. «მმართებლობის უწყებაში» გამოცხადებულია დარი-

გვარიგებს ხოლმე და საჩივლელად სულით-მამასახლისთან აღარ გვგზავნის... ამისთანა ქრისტიან კაცზე ჩივილი კი არ უნდა — ღუბერნატორს ქაღალდის მირთმევა უნდა, რომ «პენსია» დაუნიშნოს.

ხალხმა სიცილი შექნა.

— გცხვენოდეთ, გცხვენოდეთ, ვაჟბატონებო, რომ თქვენი ენა-ტანიობით ჩვენც აბეზარს მოვყევართ და მთავრობასაც აწუხებთ, — წაიყვანა ხალხმა... ჩვენ მაზეზღრებისა არა ვიცით-რა. ხალხი დაიშალა და ჩვენც ცოტახანს უკან დავშორდით ერთმანეთს. ეს ამბავი მთელ სოფელს მოედო... სოფლის დედა-კაცების სალაპარაკო სულ ესლა იყო... «შიტელი» უნდა დაამწყვდიონ ნაუბახტში, „შიტელს“ აგდებენო და სხ. მამა-კაცებში ამ ამბავმა სხვა ხასიათი მიიღო; ესენი გულ-დათუთქულნი ეძებდენ შემთხვევას „სოფლის“ შეურაცხობისათვის მწარე დღე დაეყენებინათ მაზეზღრებისათვის.

VII

მას შემდეგ ბევრმა ხანმა გაიარა... სოფლელები არ იშლიან ჩემთან მისვლა-მოსვლას და მეც არა ვზარობ კარების გაღებას... მტრებმა ჩვენს წინაშე კისერი მოიხარეს... სხვა რაღა დამრჩენოდა?.. უნდა გამევრძელებინა ჩემნი მოქმედებანი და წვრილმან დაბრკოლებათა წინაშე კვებულა მოზვერივით არ უნდა მომეხარა კისერი.

არც ჩემ სკოლის ეტყობოდა ურიგობა... ჩემმა პატარა მეგობრებმა მთელი ელემენტარული პირველ დაწყებითი კურსი გაიარეს... სამშობლოს აღწერაც ისწავლეს და მისი ძველი და ახალი ისტორია ხომ მთელმა სოფელმა იცოდა... სასიამოვნო სანახავი იყო, როდესაც ჩემი შეგირდები შინ მივიდოდენ ხოლმე: გაფაციცებული დედ-მამა და იმ არე-მარეს გოგო-ბიჭები მისცვივდებოდენ ყმაწვილს და გამოჰკითხავდენ სკოლაში გაგონილს და ნანახს. ბავშვიც მოჰყვებოდა ლაპარაკს ვახტანგ დიდზე, თამარ ბრწყინვალეზე, ირაკლიზე და სხ. ბავშვებისაგან, სხვათა შორის, გლეხებმა ისწავლეს მეხი, წვიმა და სხვა ბუნებრივი მოვლენანი რისაგან წარმოსდგებიან... მთელი სოფელი აღტაცებაში იყო... არავინ იზარებდა ბავშვების მობარებას სკოლაში და ისე გაივსო კლასი ბავშვებით, რომ იმითი გაძღოლა ველარ შევძელი და თანაშემწე დავანიშვნინე. მემამულემაც თავისი ბავშვები მე მამაბარა. სხვა გარეშე პირებისაგან თხოვნას ბავშვების მიბარებაზე ხომ სამზღვარი არა ჰქონდა.

VIII

არც საზოგადო საქმეებმა იცვალეს ცუდად ფერი: დავიწყე ბანკზე სჯა... შევადგინეთ ეკონომიური მხრით ხელშემწყობი საზოგადოებანი, და ვინ იცის კიდევ სხვას რას ვფიქრობდით, რომ ჩემი ბედის ჩარხი უკუღმა არ დატრიალებულიყო. ერთხელ, როდესაც გაცხარებული სჯა გვქონდა საზოგადო სასოფლო მაღაზიის და დუქნის რიგიანად წარმოებაზე და გაუმჯობესობაზე, ამ დროს ჩაფარმა მომიტანა უფროსისაგან გამოგზავნილი შემდეგი შინაარსის ქაღალდი: „რადგანაც თქვენზე, მოწყალეო ხელმწიფევ, ძალიან „საეჭვო“ ხმები მოდის და ბევრი საჩივრებიც წარმოუგზავნიათ ჩვენს წინაშე, ამისთვის მოგიწერთ თქვენ — რათა სკოლა ჩააბაროთ მამასახლისს და თქვენ კი ყუბანის მაზრის სოფელ №-ის სკოლა ჩაიბაროთ. — არ ვიცი, შეუძლიან კაცმა იმაზე უარესი მდგომარეობა წარმოიდგინოს, რა მდგომარეობაშიაც მე ჩამაგდო ამ მოულოდნელმა მოწერილობამ... მე მთლად გავშეშდი... სისხლი ამემღვრა... სამძიმოდ, მეტისმეტად სამძიმოდ მიმაჩნდა მოგვარებულ საქმეების თავ-დანებება... შეჩვეულის ხალხის დატოვება... იმ ღამეს თვალიც არ მომიხუჭავს... წარმოდგენილი მქონდა განშორების სიძნელე და გული მიმდიოდა... ნეტა, რა დავაშავე საიმისო, რომ ასე უდროოდ და უმოწყალოდ მგლეჯენ ხელიდან ჩემს კეთილ ნალვაწევს? ჩვენმა მემამულე და მთელმა სოფელმა ამ ამბის შეტყობაზედ ბევრი ქაღალდი გაგზავნეს ჩემ დაბრუნებაზე, მაგრამ ხვედრს ვერ გავექეცი. მაისის უკანასკნელ რიცხვებში იგივე «ორ-ბღვრიალა» თვალებიანი „ურემი“, რომელმაც სამი წლის წინად ამ ქვეყანაში მომიყვანა, გულ-დაწყვეტილ და ჯავრისაგან გონება დაყუჩებულს მიმარბენინებს სადღაც შორს... შორს ამ ქვეყნიდგან და ჩემი დამტვრეული ოცნებანი ყრუდ-ღა წამჩურჩულებენ: «გამაგრდი, ნეტარ დროს მერეც მოესწრობიო“.

სანდრო ჭოჭოლა.

გება მედიცინური რჩევისა იმის შესახებ, თუ რა საშუალება უნდა იხმაროს თვითეულმა პირმა, რომ ხოლერა თავიდამ აიცილოს.

გარეშე საქმეთა სამინისტროს მკურნალი ბატარსკი, მედიცინური რჩევის მინდობილობით, დღეს მიდის ბაღდადში; მან ადგილობრივ უნდა შეისწავლოს ჭამი და მისი გაჩენის მიზეზები.

ლივერპული. მატროსი მარსელიდგან მოსული ცეცხლის გემისა ავად გახდა ქუჩაში ხოლერით, მაგრამ აზიურით თუ სპორადიულით, ჯერ არავინ იცის.

ლონდონი. მტყუნდება ის ამბავი, ვითომც ლივერპულში მატროსი ხოლერით ავად გამხდარიყოს.

პარიჟი. ივლისის 14 დილის ათ საათამდინ ხოლერით მოკვდა: ტულონში 26 და მარსელში 48 კაცი. მიწის წარმოების მინისტრმა შეიტანა სახელმწიფო რჩევაში კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ საკლავი საქონლის უცხო ქვეყნებიდგან მორეკას ბაჟი მოემატოს.

ივლისის 16

ნიჟნი-ნოვგოროდი. გუშინ წირვისა და პარაკლისის შემდეგ იარმუკის დროშები ამართეს.

მანჩესტერი. შაბათს შესდგა მიტინგი ბრაიტის თავმჯდომარეობით, რათა გამოეცხადებინათ პროტესტი ლორდთა პალატისაგან ამორჩევითი კანონის უარ-ყოფაზე. მიტინგზე 80,000 კაცი დაესწრო.

ტულონი. გუშინ ხოლერით მოკვდა აქ 12 კაცი და მარსელში 29.

კონსტანტინეპოლე. როდესაც გუშინ რუსეთის საელჩოს კასირი ოტომანიურ ბანკიდამ გამოდიოდა, ვიღაც უცნობი უეცრად თავს დაეცა, ჯოხი დაჰკრა თავში, ცნობა დაუბნია და წაართვა თანქონებული 1700 გირვანქა სტერლინგი. კასირი ოდნავ არის დაჭრილი და თითონვე გამოაცხადა ეს ამბავი.

ბელგრადი. აქ მოვიდა სერბიის პატრიარქი ანგელიგი და ხალხისაგან აღტაცებით იქმნა მიღებული.

ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე 18 § ძალით, 18 მარიამობისთვეს ამა 1884 წლისა, დილის 12 საათზე, ქ. ტფილისს ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის სადგომზე, საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან დაგირავებულნი ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ მამულო ბანკში უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, რადგანაც მათ წესდებისამებრ ბანკის სახვედრო გადასახადი არ შეუვსიათ

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულთა, რომელთა მეპატრონენი, თანახმად მე-19 § იმავე წესდებისა, შეავსებენ ბანკის სახვედრო გადასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის ვალებით, ზედ დამატებით შეუვსებელთა გადასახადთა, მამულის გასასყიდლად დანიშნვის ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულებისა, რომელიც ბანკს თვისის მოვალის მაგივრად დაუხარჯავს.

გრძელვადიანნი თავნი ვალები ბანკისა შეიძლება მოსპობილ იქმნენ ამ ბანკის გირავოს ფურცლებით სახელდობრივის ფასისამებრ—მანეთი მანეთად, და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ მყიდველზე; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა შეუვსებელი ფულები (ნედოიმკა) უნდა მოსპობილ იქმნენ ნაღდი ფულით.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიათ განიხილონ ბანკის სამმართველოში შეფასებითი აღწერილობა და სხვა საბუთები გასასყიდელთა მამულთა.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, თანახმად ბანკის წესდების მე 24 §-ისა, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 4 სეკდემბერს ამა 1884 წლისა.

$18^{7}/_{13}$ **წლიანნი სესხნი.**

ქ. თბილისს

მელიქოვისა, ანნა ივანეს ასულის: პირველ განყოფილებაში, მეორე ნაწილში, ბალის ქუჩაზე სამ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 204 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 25,428 მან. 41 კაპ., შესავს. გადასახ. 2,563 მან. 68 კაპ. სულ 27,992 მან. 9 კაპ.

მემკვიდრეთა მირზოევისა, ივანე მინას ძის: პირველ განყოფილებაში, მესამე ნაწილში, მიხაილის ხიდთან, ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ქვითკირის დუქნები და მიწა, 758 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 101,713 მან. 58 კაპ., შესავს. გადასახადი 9,558 მან. 35 კაპ. სულ 111,271 მან. 93 კაპ.

მათივე: პირველ განყოფილებაში, მესამე ნაწილში. მიხაილის ხიდთან, ქვითკირის დუქნები და მიწა, 1259 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 110,189 მან. 75 კაპ., შესავს. გადასახადი 11,244 მან. 54 კაპ. სულ 121,434 მ. 29 კაპ.

მათივე: პირველ განყოფილებაში, მესამე ნაწილში, მიხაილის ხიდთან სამ-ეტაჟიანი ქვითკირის დუქნები და მიწა, $243^{1}/_{2}$ კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 110,189 მან. 75 კაპ., შესავს. გადასახ. 10,538 მან. 51 კაპ. სულ 120,728 მან. 26 კაპ.

შადინოვისა, ალექსანდრე ივანეს ძის: პირველ განყოფილებაში, IV ნაწილში, ბანოს ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი--ერთი ოთხ-ეტაჟიანი და მეორე ორ-ეტაჟიანი და მიწა, 236 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 38,494 მან. 63 კაპ., შესავს. გადასახ. 4,086 მან. 59 კაპ. სულ 42,581 მან. 22 კაპ.

მემკვიდრეთა შადინოვისა, მიხაილ ივანეს ძის: პირველ განყოფილებაში, IV ნაწილში, ველიამინოვის ქუჩაზე ორი ქვითკირის ორ-ეტაჟიანი სახლი და მიწა, 236 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 17,332 მან. 41 კაპ., შესავს. გადასახ. 1261 მან. 88 კაპ. სულ 18,594 მან. 29 კაპ.

ბარათოვისა, ნინო ალექსანდრეს ასულის: პირველ განყოფილებაში, მეორე ნაწილში, ახალი ბებუთოვის და კონსულის ქუჩებს შუა ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 108 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 19,865 მან. 42 კაპ., შესავს. გადასახ. 1,784 მან. 82 კაპ. სულ 21,650 მან. 24 კ.

ბაბაევისა, დავით ვასილის ძის: მეორე განყოფილებაში, მეთერთმეტე ნაწილში ორი ქვითკირის ორ ეტაჟიანი სახლი მაღაზიებით და მიწა, 183 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 10,865 მან., 42 კაპ., შესავს. გადასახ. 1196 მან., სულ 21,061 მან., 42 კაპ.,

მემკვიდრეთა ლიპინსკისა, რომუალდ-ალექსანდრე ფრანცის ძის: მეორე განყოფილებაში, მეორე ნაწილში, ელისაბედის ქუჩაზე ორი ერთ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 527 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 10,835 მან., 69 კაპ., შესავს. გადასახ. 1087 მან., 43 კაპ., სულ 11,923 მან., 12 კაპ.,

ყაზაროვისა, ავეტიკა კარაპეტას ძის: პირველ განყოფილებაში, მეხუთე ნაწილში, საზოგადო ქუჩაზე ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 103 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 9029 მან., 74 კაპ., შესავს. გადასახ. 351 მან., 13 კაპ., სულ 9,380 მან., 90 კაპ.,

სტეპ-ურენგოისა, პელაგია კონდრატის ასულის: პირველ განყოფილებაში, პირველ ვერის ნაწილში, უსახელო ქუჩაზე ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 350 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 11,940 მან., 12 კაპ., შესავს. გადასახ. 1178 მან., 49 კაპ., სულ 13,118 მან., 61 კაპ.,

პირაევისა, ივანე მიხაილის ძის: მეორე განყოფილებაში, მერვე ნაწილში, ჩუგურეთში, ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 149 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 12,641 მან., 65 კაპ., შესავს. გადასახ. 1138 მან., 85 კაპ., სულ 13,780 მან., 50 კაპ.

კონიევისა, გრიგოლ ბეჟანის ძის: პირველ განყოფილებაში, ოლღას ქუჩაზე ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი მაღაზიებით, და მიწა, 300 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 16,566 მან., 53 კაპ., შესავს. გადასახ. 1468 მან., 12 კაპ., სულ 18,034 მან., 65 კაპ.,

ბაზიევისა, სალომე ტატოს ასულისა: პირველ განყოფილებაში, პირველ ნაწილში, დავითის ერდოზე ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 83 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3,748 მან. 99 კაპ., შესავს. გადასახ. 265 მან. 40 კაპ. სულ 4,014 მან. 39 კაპ.

ოსქიანისა, იაკობ სოფრომის ძის: მეორე განყოფილებაში, მეათე ნაწილში, ელისაბედის ქუჩაზე ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ბაღი და მიწა, 2.212,51 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 28,117 მან. 38 კაპ., შესავს. გადასახ. 2,595 მან. 38 კაპ. სულ 30,712 მან. 76 კაპ.

$43^{1}/_{2}$ **წლიანნი სესხნი.**

ტფილისის გუბერნიის, მისივე მაზრისა.

მაღალოვისა, დავით იოსების ძის: თელოვნის აგარა სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 141 დესიატ. 1720 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,961 მან. 71 კაპ., შესავს. გადასახ. 170 მან. 93 კაპ. სულ 2,132 მან. 64 კაპ.

მაღალოვისა, სოფიო იოსების ასულის: თელოვნის აგარა, საძოვარი, ტყე და სახნავ-სათესი, 153 დესიატ. 440 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,951 მან. 46 კაპ., შესავს. გადასახ. 252 მან. 62 კაპ. სულ 3,204 მან. 8 კ.

(3—1)

Доз. ценз. Тифлисъ, 16 Іюля 1884 г. სტამბა ძმ. ქალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.